

ვრცელდება სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე სავარაუდო თავდამსხმედის ფოტო



სოციალურ მედიაში

სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე სავარაუდო თავდამსხმედის ფოტო გავრცელდა. საინფორმაციო სააგენტოები წერენ, რომ ეჭვმიტანილი 1989 წელს დაბადებული შერიფ შექათია.

მათი ინფორმაციით, თავდამსხმედი საფრანგეთში დაიბადა და ამ ქვეყნის მოქალაქეა, თუმცა წარმოშობით მაროკოდან არის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, კაცი, რომელმაც საშობაო ბაზრობაზე ცეცხლი გახსნა, შეიარაღებული და სავარაუდოდ დაჭრილია. ის ჯერჯერობით პოლიციას არ დაუკავებია.

სტრასბურგში საშობაო ბაზრობასთან სროლა გუშინ მოხდა. 3 მოკვლედი და 12 დაჭრილი - ასეთია სტრასბურგში მომხდარი სროლის ბოლო მონაცემები. უსაფრთხოების მიზნით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა.

" საახადწღო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალობას“ – განვიხილოთ „პატრიოტთა ადიანსის“ რეზოლუციის პროექტი"



„პატრიოტთა ადიანსის“ ერთ-ერთმა დიდებულმა, ადა მარშანიამ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ „ნაციონალისტების“ საახადწღო სიურპრიზი იქნება „პატრიოტთა ადიანსის“

რეზოლუციის პროექტის განხილვა.

„ვნახე და მიხარია, რომ ჩვენი ანტინაციისტური რეზოლუციის პროექტი დღის წესრიგში შესურია, მაგრამ 45-ე ნომრად. მოდიოთ, საახადწღო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ბოლოს და ბოლოს, განვიხილოთ ეს რეზოლუციის პროექტი, საახადწღო რეზოლუცია ან ვცნოთ, რომ ეს მართლა კრიმინალური რეჟიმი იყო ან გააგრძელებთ მაშინ მათთან თანამშრომლობა. გადავწიოთ უფრო წინ, ახად წლამდე განვიხილოთ და მივიღოთ“, – განაცხადა ადა მარშანიამ.

საპარლამენტო ფრაქციამ „სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ“ რეზოლუციის პროექტი რამდენიმე თვის წინ მოამზადა. რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ მიხეიდ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას მმართველობის პერიოდში საქართველოში დანაშაულებრივი, ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა.

დოკუმენტში საუბარია „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არჩევნების გაყარებაზე, სასამართლო სისტემის დამორჩილებაზე, პოლიტიკური ოპონენტების დევნაზე, მფლობელებისთვის სატერფიზიო არხების წართმევაზე, საპროტესტო აქციების დარბევაზე, „ნურღვანი ტოტოტანტობის“ მოტივით მოსახლეობის დაშინებაზე, საკუთრების უფრების შედახვასა და კოლორისა და ახადგორის რაბარებაზე.

ფრაქცია დოკუმენტში აღნიშნავს, რომ რამოთვრიდ დანაშაუდებზე პასუხისმგებლობა მიხეიერ სააკაშვიდისა და გიგა ბოკერიას, ასევე „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპურ საქართვედოს“ ეკისრებათ.

“აუციდებედიია ვიძუშათ საქართვედოში დემოკრატიური პრეცესების განმტკიცებაზე“



კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ თბილისში ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა საქართვედოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზადვადიანთან გამართა.

„ჩემი ჩამოსვრის უმთავრესი მიზანია იმ პოლიტიკური პოლიტიკური დინამიკის შენარჩუნება, რაც ნატოსა და საქართვედოს შორის არსებობს, აგრეთვე ცოტა ხნის წინ ბრიუსელში გამართული ნატოს მინისტერიადის შედეგების შეჯამება და მომავალი წედს ერთობრივი

სამოქმედო გეგმების განსაზღვრა. უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ნატოს მინისტრებთან საქართველოს არიანსში განხილვის სურვილსა და მოწოდებაზე, ამ გზაზე მიმდინარე რეფორმების გატარების თაობაზე და იმ კონტრიბუციებზე რასაც საქართველო გასწევს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად საკმაოდ ძლიერი განცხადებები გააკეთა.

დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები, მჯერა რომ მომავალ წელს ქართველი ხარხი იხილავს გაცილებით მეტ ნატო-ს საქართველოში უმაღლეს დონეზე. ამასთან, რა თქმა უნდა, აუცილებელია ვიმუშაოთ კონკრეტულ შედეგებზე, მაგარიტად საქართველოში ეფექტური რეფორმების გატარებაზე და დემოკრატიული პროცესების განმტკიცებაზე“ – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯეიმს აპატურაიმი.

გენერალური მდივნის წარმომადგენლის ვიზიტი თბილისში 12 დეკემბერს დაიწყო. ვიზიტის ფარგლებში ის შეხვედრებს გამართავს ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და თავდაცვის მინისტრთან. ჯეიმს აპატურაი ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში საჯარო რექციას გამართავს ასევე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

“ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბოლო შეხვედრის შემდეგ, ჯეიმს აპატურაის ვიზიტი არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნატოსთვის საქართველოსთან ურთიერთობა. ვიზიტი ემსახურება იმას, რომ ბოლო მინისტრებთან გახლენებული საკითხები იყოს განხილული ასევე მომავლის პერსპექტივაში. ვისაუბრეთ 2019 წლის გეგმებზე. ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება ნატოსთან თანამშრომლობის კუთხით.

აღინიშნა ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც საქართველოს აქვს პრაქტიკული ინსტრუმენტების შესრულების თვალსაზრისით და ასევე ნატოში განხილვის პერსპექტივასთან დაკავშირებით. პოზიტიურად იყო შეფასებული ჩვენი მონაწილეობა ნატოს ბოლო მინისტრებთან. ჩვენი მხრიდანაც მაღალი შეფასებები მიეცა ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტორტენბერგის განცხადებებს, რომელიც გააკეთა

საქართველოს განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებით. მისი გამონათქვამი, რომ ნათქვამი აგრძელებს საქართველოს მზადებას ადრინდელ განვითარებისთვის, არის მნიშვნელოვანი გზავნილი“, – განაცხადა დავით ბარკაძემ.

" ბინათმშენებლობის კოპერატივებით დაზარალებულ მოსახლეობას ბინებით უზრუნველყოფთ "

✘ დედაქალაქის მერი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს მოუწოდებს, ბინათმშენებლობის კოპერატივებით დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასაცემ ფართებთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები წარმოადგინონ.

როგორც მან მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, დაზარალებულთა დაკმაყოფილებისთვის საწყის ეტაპზე, რამდენიმე მიწის ნაკვეთი უკვე გამოიყო.

„ბინათმშენებლობის კოპერატივებით დაზარალებულთა ფართებით დაკმაყოფილება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული პრობლემა 3000-ზე მეტ ოჯახს 90-იანი წლებიდან აწუხებს. ჩემი წინასაარჩევნო დაპირებაც იყო, რომ ამ პრობლემის მოგვარებას დავიწყებდით. კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჩვენ ვიქნებით ქალაქის ის მთავრობა, რომელიც ამ ადამიანებს აღნიშნულ პრობლემას მოუგვარებს და მათი ბინებით უზრუნველყოფა მოხდება.

უკვე შევარჩიეთ კონკრეტული არეარები, სადაც შესაძლებელი იყო მშენებლობის განხორციელება. გამოცხადებული გვექონდა ინტერესთა

გამოხატვა, თუმცა სამწუხაროდ, არცერთი დაინტერესებული კომპანია არ აღმოჩნდა, ვინც ამ პროექტებს განახორციელებდა“, – განაცხადა კახა კარაძემ.

დედაქალაქის მერია დაინტერესებულ პირებთან და სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობისთვის მზად არის.

„მესმის სამშენებლო კომპანიების, რადგან ყვერას საკუთარი ბიზნესმოდელი აქვს, თუმცა ჩვენ მიდგომა შევცვადეთ. აღნიშნული პროექტებით ძარიან ბევრი სამშენებლო კომპანიაა დაინტერესებული, ისინი დაზარალებულ მოქალაქეებთან ერთად მოდიან და მერიას სხვადასხვა წინადადებას სთავაზობენ. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

მინდა მივმართო სამშენებლო კომპანიებს, აღნიშნულ მიწებზე საკუთარი წინადადებები წარმოადგინონ. გვინდა, მათი წინადადებები მერიის ვებგვერდზე განვათავსოთ, სადაც მათი ნახვის შესაძლებლობა ყვერა დაინტერესებულ მხარესა და კომპანიას ექნება. გამარჯვებულად კი ჩაითვლება ის, რომელიც დედაქალაქის მერიას მეტ ფართს შესთავაზებს, რათა საცხოვრებელით რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაკმაყოფილდეს“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

"მიწების გასხვისების
შეზღუდვას აქვს როგორც
პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური

კონტექსტი



პარლამენტის აგრადურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, თუმცა აღნიშნავს, რომ კანონსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მაღლა

არავინ დგას.

მისი თქმით, ორკვირიანი ვნებათაღვრვა, რასაც საფუძველი დაუდო საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით, არ უნდა გახდეს ქვეყნის იმიჯის დამაზიანებელი.

„მე ვარ ამ კანონის ერთ-ერთი ინიციატორი. გასხვისების შეზღუდვას აქვს როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური კონტექსტი და ამას არ ჩავუღრმავდები ბევრი მიზეზის გამო. ნიშანდობლივია, რომ ეს შეზღუდვა აბსოლუტურად გაზიარებული იქნა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მიერ და ამიტომაც არ განვაგრცობ. მიმხვედრი უნდა მიხვდეს. რა თქმა უნდა, უპირველესია ჩვენი ეროვნული ინტერესებიც. ამიტომ გაუგებარია, რას ემსახურებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ახლა მიმდინარე პროცესების პროვოცირება“, – აცხადებს ოთარ დანელია.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ის უერთდება საქართველოს იმ მოქალაქეების სურისკვეთებას, რომლებიც სიღრმისეულად იაზრებენ არსებულ პოლიტიკას გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

“რა თქმა უნდა, მე, როგორც მოქალაქეს აბსოლუტურად მაქვს იმის უფლება, რომ გამოვთქვა ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და ვარ ერთ-ერთი მათგანი, ვინც გამოთქვამს თავის გულისწყმას. ამავდროულად, მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი და ჩემთვის უმნიშვნელოვანესია კანონის პატივისცემა და სასამართლოს გადაწყვეტილება რევიზიას არ ექვემდებარება.

გამოხატვის უამრავი ფორმა არსებობს. ნებისმიერმა გამოხატვამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმ ადამიანებს, რომლებთან ამ ეტაპზე საკონსტიტუციო ცვლილებებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. ეს არის დემოკრატიული ნორმა, ეს არის კანონის უზენაესობის პატივისცემა”, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.

დღეს ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოსთან “პატრიოტთა ალიანსის” წევრებმა მხარდამტყრებთან ერთად საკონსტიტუციოს მიერ 7 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს. საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის შეზღუდვაზე, რაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. “აჭარის ტერფიზიის” ცნობით, აქციის მონაწილეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პერმანენტური აქციები დააანონსეს.

შეგახსენებთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრენუმმა სასოფრო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით დაწესებული მორატორიუმი 7 დეკემბერს არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, რომელშიც სასოფრო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით შესწორებები შევიდა. დოკუმენტის მიხედვით, სასოფრო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერსაა დაგეგმილი.

10 დეკემბერს მიწების უცხოელებზე გასხვისების მოწინააღმდეგეები

იუსტიციის სახლთან შეიკრიბნენ, რათა არ დაეშვათ მიწების უცხო ქვეყნის მოქარაქეებზე დარეგისტრირება. აქციის გამო გუშინ თბილისის იუსტიციის სახლი შეფერხებით მუშაობდა. მოგვიანებით აქციის მონაწილეებსა და მათ მოთხოვნებს იუსტიციის მინისტრი თვანუდუკიანი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ 10 დეკემბერს არცერთი უცხოელის სახეზე სასოფლო-სამეურნეო მიწა არ დარეგისტრირებულა.

აქციასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო შსს-მაც, რომლის ფარგლებშიც აქციის რამდენიმე მონაწილე გამოკითხვაზე დაიბარეს.

დრეზდენის არქივში პუტინის „შტაბის“ მონობა იპოვეს



გერმანური გამოცემა Bild-ი ვადღიმერ პუტინის „შტაბის“ მონობის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მუშაობდა. გამოცემაში აცხადებენ, რომ

ახადგაზრდა პუტინი ამ სამსახურში ბერლინის კედლის დანგრევამდე მოღვაწეობდა.

პუტინის „შტაბის“ მონობა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დრეზდენის სამმართველოს არქივში იპოვეს. რუსეთის მომავად დიდერს მონობა 1985 წლის 31 დეკემბერს მისცემს და 1989 წლამდე სამჯერ გაუგრძელებს მოქმედების ვადა, აღნიშნავს გერმანური გამოცემა. ეს მონობა პუტინს უფლებას აძლევდა, შესურდყო

“შტაბის” ქვეგანყოფილებებში და აგენტები გადაებირებინა. დრეზდენის არქივის დირექტორს კონრად ფერბერს უკვირს, განადგურების მაგივრად რატომ ჩააბარა პუტინმა ეს მოწმობა არქივში.

რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტებს ურჩია, რუსეთის საგარეო დაზვერვას მიმართონ.

„შემიძლია ვივარაუდო, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურის კომიტეტი (კავგებე) და „შტაბი“ თანამშრომლობდნენ და არ გამოვრიცხავ, რომ მოწმობების გაცვლა მოხდა“, – განცხადა პესკოვმა.

აღსანიშნავია, რომ პუტინის აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან კავშირის შესახებ გერმანიაში არაფერი იცოდნენ და ამ კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ამ დრომდე ნაპოვნი არ ყოფილა.

https://twitter.com/BILD/status/1072248765300596737?ref_src=tw_src%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1072248765300596737&ref_url=https%3A%2F%2Ftvrain.ru%2Fnews%2Fshtazi_na_imja_putina-476816%2F

საქართველოს ყველაზე პატარა გიდს „მთის შვიდის“ წოდება მიენიჭა

✘ მაღარმთიანი რეგიონების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის პრეზენტაციის დროს, 13 წლის გიორგი ქოჩიახანს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „მთის შვიდის“ წოდება მიანიჭა.

„მინდა, გიორგის მაგარი თი მოვიყვანო, როგორც საუკეთესო მაგარი თი ჩვენთან, მთაში როგორი თაობები იზრდებიან, როგორი პატრიოტები, როგორი ნიჭიერები და რაც მთავარია, გუღწრფელები.

ეს არის მთავარი მიზეზი, რატომაც საქართველო ასე ძალიან უყვართ ჩვენს მეგობრებს. ჩვენი ამოცანაა, რომ გიორგისნაირი მომავალი თაობები აუცილებლად ცხოვრობდნენ მთაში. ეს არის საუკეთესო პასუხი ადამიანებზე, ვინც ამბობს, რომ მთაში მოსახლეობის შენარჩუნება არის არაეფექტური. ასე არ შეიძლება, საქართველოს მთა არის ჩვენი მთავარი სიმდიდრე. გიორგის მინდა, წარმატებები ვუსურვო”, - განაცხადა ბახტაძემ.

13 წლის გიორგი ქორქიანი უშგურში ცხოვრობს. მან ოთხი ენა იცის და სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოსურ ტურისტებს გიღობას უწევს. გიორგი ქორქიანი ამბობს, რომ ინგლისური და რუსური უშგურში ჩასურ ტურისტებთან ურთიერთობის დროს ისწავდა, თურქული და ებრაული კი, – ტერევიზორიდან. მან საკუთარი შემოსავლით გასურ წერს ვერსიპედი და სკეიტბორდი იყიდა.

https://www.youtube.com/watch?v=A0dvime_usI

ltv.ge

თბილისის საბავშვო - ბაღებს
საახადნდო ტკბიდეურით
მთამარაგებენ



თბილისის საბავშვო-ბაღებს საახადნო ტკბილეუდით 13 დეკემბრიდან მოამარაგებენ. ამის შესახებ “პირველ არხს” ბავშვების მართვის სააგენტოში განუცხადეს.

სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული მომსახურება ტენდერის გზით უკვე შესყიდულია. ტენდერში მონაწილეობა ოთხმა კომპანიამ მიიღო, თუმცა, სააგენტოს ცნობით, მოთხოვნილი კრიტერიუმების მიხედვით, გამარჯვებულად ერთი კომპანია გამოვლინდა.

რამდენიმე დღის წინ ბაღების სააგენტომ მშობრებს მიმართა და განაცხადა, რომ ბაღებში ფურის შეკრება კანონდარღვევაა. ბავშვების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის კახა გვანცვლაძის თქმით, საახადნო ზეიმისთვის, თოვლის ბაბუის გამოძახების სერვისზე თითოეული ბაღისთვის 1000 ლარია გამოყოფილი. წლიური ბიუჯეტის 3% კი ბაღს აქვს თავისუფალი განკარგვისთვის. აქედან გამომდინარე, გვანცვლაძის თქმით, მშობრების მიერ თანხის შეკრების აუცილებლობა არ არსებობს და მსგავსი ქმედება კანონდარღვევაა.

60 565 აღსაზრდელისთვის გათვრილი საახადნო ნობათი თბილისის ბიუჯეტს 414 879,25 ლარი უჯდება. საბავშვო ბაღებში საჩუქრების შეტანა 13 დეკემბრიდან დაიწყება.

კონკურენციის სააგენტო პურის ფასის ზრდის მიზეზებს

შეისწავლის



საქართველოში პური 5-10 თეთრით გაძვირდა, პურ-პროდუქტების კომპანიის წარმომადგენლები ამის მიზეზად ფქვილზე ფასების ზრდას ასახელებენ. პურ-პროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარის, მარხაშ დოდიძის თქმით, გაფხურთან

შედარებით ერთი ტონარა

ფქვილი 32%-ით გაძვირდა. დღეს მისი ფასი 47-50 ლარია.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი პურზე ფასის გაზრდის შესახებ კითხვას პასუხობს და აცხადებს, რომ დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არის და სახელმწიფო და მთავრობა არ წყვეტენ რა ეღირება პური.

„აქამდე არასამართლიანი კონკურენციის პირობებს ვერ ვხედავდით, დღეს პურის ფასმა მკვეთრად მოიმატა, ამიტომ ამან გამოიწვია ჩვენი ყურადღება არასამართლიანი კონკურენციის თვალსაზრისით. ამას გამოვიძიებთ და შევისწავლით, თუ იქნება პრობლემა, ამაზე რეაგირებას მოვახდენთ“, - აღნიშნა გიორგი ქობულდამ.

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა გარე ფაქტორები, რაც გამოიწვევდა პურის ფასის მომატებას, როგორც ქობულდამ აღნიშნა, არსებობს სიტუაცია, რომელსაც ნაწილობრივ შეეძლო გამოეწვია პურის ფასის მომატება.

„მაგალითად, მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის ფასებმა აიწია. ჩვენ პურის ფასში ვერ ჩავერევით, მაგრამ თუ დავინახავთ, რომ არაკონკურენტული გარემოს გამო მოხდა ფასის მატება, რეაგირებას მოვახდენთ კონკურენციის სააგენტოს ფარგლებში“, - განაცხადა ქობულდამ.

კომპანია „იფქრმა“ დღეს განცხადება გაავრცედა, რომ „იფქრის“ დასახელების პური 10 თეთრით ძვირდება.

პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე შესაბამის ორგანოებს მიმართა, უმოკდეს ვადებში შეისწავლონ პურპროდუქტების ბაზარზე არსებული ვითარება და შესაბამისი ანგარიში მოამზადონ. მისი თქმით, არსებობს მოსაზრება არასამართლიანი კონკურენციის შესახებ.

“მინდა შევეხო დღევანდელ ინფორმაციას, რომ მოხდება პურის ფასის მკვეთრი ზრდა. არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენ შეიძლება საქმე გვექონდეს არასამართლიან კონკურენციასთან. მინდა შესაბამის ორგანოებს მივმართო, უმოკდეს ვადებში შეისწავლონ ეს სიტუაცია და მოამზადონ ანგარიში რასთან გვაქვს საქმე. საქართველო არის საბაზრო ეკონომიკა, ჩვენ ვართ ღია ეკონომიკა, მაგრამ არასამართლიანი კონკურენციის კეთების საშუალებას ვერავის მივცემთ“, – განაცხადა ბახტაძემ.

წმ. აღმსარებელ თამარის
(მარჯანიშვიდი) **წმინდა**
ნანიდები **საქართველოში**
ჩამოიტანეს



რუსეთიდან საქართველოში წმინდა აღმსარებელ თამარის (მარჯანიშვილი) წმინდა ნაწილები ჩამოიტანეს. სქემ-ილუმენია თამარ მარჯანიშვილი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2016 წლის 22 დეკემბრის წმინდა სინოდის სხდომაზე წმინდანად შერაცხა და მას ღირსი თამარ აღმსარებელი უწოდა.

„ჩვენ ვითხოვდით მისი წმინდა ნაწილების გადმოცემას და აი, დღეს, 10 დეკემბერს, რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა იღარიონმა (აღფეევი) და მისმა თანმხლებმა ორმა პირმა ჩამოაბრძანეს სიწმინდე და საქართველოს საპატრიარქოში მოაბრძანეს.

საქართველოს საპატრიარქოში წმინდა თამარის წმინდა ნაწილებს დედათა მონასტრების მონობენებიდახვდნენ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქმა კი, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა და ღირს თამარს საქართველო და ქართველი ერი შეავედრა“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.



ილუმენია თამარ მარჯანიშვილი 1869 წელს დაიბადა. მან სასულიერო მოღვაწეობა 1899 წელს ბოლბის მონასტერში დაიწყო, თუმცა 1907 წელს რუსეთში გაიწვიეს. 1910-1912 წლებში ღირსმა თამარმა ღვთისმშობლის

გამოცხადების შემდეგ სერაფიმო-ზნამენსკის სკიტი ააშენა. 1931 წელს იგი დააპატიმრეს და ბრალად დასდეს 1924 წლის აჯანყების ხერმძღვანელებთან კავშირი, რის გამოც ხუთი წლით ირკუტსკის ოლქში გადაასახდეს. გადასახლებიდან დაბრუნებულ და დასნეულებულ დედა თამარს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს და იგი მოსკოვთან ახლოს დასახლდა. დედა თამარმა განსაკუთრებული ასკეტური ღვაწლით გაატარა ცხოვრების უკანასკნელი პერიოდიც და 1936 წელს გარდაიცვალა.
